# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება №403

## 2014 წლის 17 ივნისი

## ქ. თბილისი

## „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 03/06/2014, 240140000.10.003.017985) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებულ სახელმწიფო პროგრამას – „აწარმოე საქართველოში“ დაემატოს შემდეგი შინაარსის 28-ე მუხლი:

„**მუხლი 28. უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობა და ტექნიკური დახმარება**

1. ამ პროგრამის ფარგლებში მეწარმე სუბიექტებს უფლება აქვთ ისარგებლონ სახელმწიფო პროგრამის – „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილით გათვალისწინებული უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობისა და ტექნიკური დახმარების კომპონენტებით (როგორც ერთობლივად, ისე ცალცალკე).

2. უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობისა და ტექნიკური დახმარების კომპონენტებით სარგებლობა ხორციელდება სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მე-7 (გარდა მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა) და მე-8 მუხლებით დადგენილი წესის შესაბამისად.“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**